09100000

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 021/05

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 31 იანვარი 2011 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „რომპეტროლ საქართველო" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ალექსანდრე ალბინის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის (ბენზინი) შესყიდვა ტალონური სისტემით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ცესკოს თავმჯდომარის 2011 წლის 31 იანვრის №01-13 ბრძანების შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლიტრი ბენზინი პრემიუმი და 850 (რვაას ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინი ევრორეგულარი

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში. ერთი ლიტრი ბენზინი პრემიუმის ფასი შეადგენს 2.07 (ორი ლარი და შვიდი თეთრი) ლარს, ხოლო ევრორეგულარის ფასი 1.99 (ერთი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 11834.50 (თერთმეტი ათას რვაას ოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, რაც შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის, დღგ-ს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2 ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, შემსყიდველის წინასწარი შეკვეთის შესაბამისად, 2011 წლის 2 თებერვლამდე.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3 საქონლის ფასი შეიცავს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მის მიწოდებასთან.

4.4 საქონელს უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიწოდების შემდეგ, შემსყიდველი დაამოწმებს სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, წარმოადგენს საწვავის გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საწვავის ღირებულება შემდეგ ვადაში: საქონლის მიღებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საწვავის მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

- უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 საწვავის ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ქვემოთჩამოთვლილ შემთხვევებში:

- საგარეო და შიდა ბაზარზე საწვავზე ფასების 5%-ით ან მეტით ცვალებადობის შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში, რისთვისაც გამოყენებული იქნება ნავთობპროდუქტების საერთაშორისო სავაჭრო ინდიკატორის PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) მონაცემები (კოტირებები), შესაბამისი საქონლის სახეობაზე წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისა და საქონლის მიწოდების (შეკვეთის განხორციელების) მომენტისათვის არსებული განსხვავების შედარებით;

- ეროვნულ ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს;

- საგადასახადო რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება ცესკოს წარმომადგენელს მ. ბაინდურაშვილს. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 203851509

ზ. ხარატიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „რომპეტროლ საქართველო"
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №6

ს/ს „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა № 119347600
ს/კოდი: 204493002

ა. ალბინი

ევრო პრემიუმი 31.01.2011

C=Rx(P+Z)x(100% + 18%)xD/1000, სადაც:

ბ) C= ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);	**2.07**
გ) R= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);	**1.8089**
დ) P= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის არსებული ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი მეტრული ტონის საერთაშორისო ფასი – **PLATTS EUROPEAN MARKETSCAN** -ის **FOB Med (Italy)** ბირჟის მონაცემებით (ცვლადი კომპონენტი);	**855.33**
ე) Z= ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;	**430.68**
ვ) 18%= დღგ;	**18%**
ზ) D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.	**0.7541**

ევრო რეგულარი 31.01.2011

C=Rx(P+Z)x(100% + 18%)xD/1000, სადაც:

ბ) C= ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);	**1.99**
გ) R= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);	**1.8089**
დ) P= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის არსებული ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი მეტრული ტონის საერთაშორისო ფასი – **PLATTS EUROPEAN MARKETSCAN** -ის **FOB Med (Italy)** ბირჟის მონაცემებით (ცვლადი კომპონენტი);	**855.33**
ე) Z= ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;	**386.75**
ვ) 18%= დღგ;	**18%**
ზ) D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.	**0.7506**

"რომპეტროლ საქართველო" GEORGIA "ROMPETROL GEORGIA" LTD ROMPETROL 204493002